ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

UNDP

საქართველოს 2021 წლის მუნიციპალური არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

ონლაინ მედიის მონიტორინგის საბოლოო ანგარიში

5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

წინამდებარე ანგარიში მომზადებული და გამოცემულია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ, ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია და მისი შინაარსის აღქმა ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციად დაუშვებელია.

სარჩევი

შესავალი ... 3

მონიტორინგისთვის შერჩეული მედიასაშუალებები ... 3

მონიტორინგის სუბიექტები ... 4

მეთოდოლოგია ... 5

მონიტორინგის ძირითადი მიგნებები ... 6

მედიამონიტორინგისთვის შერჩეული ონლაინ მედიასაშუალებების ანალიზი ... 7

ambebi.ge ... 7

batumelebi.ge ... 9

guriismoambe.com ... 10

interpressnews.ge ... 12

knews.ge ... 13

kutaisipost.ge ... 15

livepress.ge ... 16

mpn.ge ... 17

netgazeti.ge ... 19

news.on.ge ... 20

publika.ge ... 22

qartli.ge ... 23

radiotavisupleba.ge ... 24

reginfo.ge ... 25

sknews.ge ... 26

sputnik-georgia.com ... 27

tabula.ge ... 29

შესავალი

2021 წლის 5 ივლისიდან 2021 წლის 14 ნოემბრის ჩათვლით „საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“ დააკვირდა ონლაინ მედიაში 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გაშუქებას.

მონიტორინგი მიზნად ისახავდა იმის შესწავლას, თუ რა სიხშირითა და ტონით აშუქებდა ონლაინ მედია სხვადასხვა საარჩევნო სუბიექტს 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პერიოდში? გაშუქების ტონის მიხედვით, შეინიშნებოდა თუ არა ონლაინ მედიასაშუალებების მიკერძოება რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მიმართ? რამდენად იცავდა ონლაინ მედია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ძირითად პრინციპებს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გაშუქების დროს?

მონიტორინგი განხორციელდა ევროკავშირის ფინანსური დახმარებით, გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის - „საქართველოს 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“ - ფარგლებში.

მონიტორინგისთვის შერჩეული მედიასაშუალებები:

მედიამონიტორინგისთვის შეირჩა 17 ონლაინ მედიასაშუალება. ესენია:

- ambebi.ge;
- batumelebi.ge (აჭარა);
- guriismoambe.com (გურია);
- interpressnews.ge;
- knews.ge (კახეთი);
- kutaisipost.ge (იმერეთი);
- livepress.ge (სამეგრელო);
- mpn.ge;

- netgazeti.ge;
- news.on.ge;
- publika.ge;
- qartli.ge (შიდა ქართლი);
- radiotavisupleba.ge;
- reginfo.ge (საქართველოს რეგიონები);
- sknews.ge (სამცხე-ჯავახეთი);
- sputnik-georgia.com;
- tabula.ge.

რვა მედიასაშუალება რეგიონული ნიშნით შეირჩა - ისინი უმეტესად საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ახალი ამბებს აშუქებდნენ. სხვა მედიასაშუალებები რეიტინგებისა და მედიის სპეციალისტების გამოკითხვის საფუძველზე შეირჩა.

მონიტორინგის სუბიექტები

- საარჩევნო სუბიექტები (პარტიები, პოლიტიკოსები და დამოუკიდებელი კანდიდატები, რომლებიც 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობდნენ);
- მთავრობა (ცენტრალური, ადგილობრივი, აჭარის ა/რ);
- პრეზიდენტი;
- ბიძინა ივანიშვილი;
- მიხეილ სააკაშვილი.

მეთოდოლოგია

მონიტორინგი შედგებოდა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის კომპონენტებისგან.

მონიტორინგი უტარდებოდა არა მხოლოდ საარჩევნო თემაზე მომზადებულ სტატიებს, არამედ ყველა მასალას, სადაც მონიტორინგის სუბიექტებზე იყო საუბარი.

მონიტორინგი არ ხორციელდებოდა სარეკლამო მასალებზე, რომლებიც სათანადოდ იყო გამიჯნული სარედაქციო მასალებისგან.

რაოდენობრივი ანალიზი

რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავდა ისეთ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაიზომოს: სუბიექტებისთვის დათმობილი ფართობი, გაშუქების ტონი, სუბიექტის სქესი (კაცი თუ ქალი).

მონიტორინგის სუბიექტების გაშუქების ტონის შეფასების დროს მონიტორები კონკრეტულ მასალაში სუბიექტის გაშუქების რაოდენობასთან ერთად უთითებდნენ, გაშუქების ტონი იყო დადებითი, უარყოფითი თუ ნეიტრალური.

გაშუქებას დადებითი ან უარყოფითი ტონი ენიჭებოდა, თუ: 1) სუბიექტის მიმართ დადებითი ან უარყოფითი შეფასებები იყო ჟურნალისტის ან რესპონდენტის მხრიდან; 2) თუ თავად საკითხი ქმნიდა დადებით ან უარყოფით განწყობას გაშუქებული სუბიექტის მიმართ.

თვისებრივი ანალიზი

თვისებრივი მონიტორინგისას ყურადღება ექცეოდა ისეთ მაჩვენებლებს, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია, მაგრამ მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად: ფაქტების სიზუსტე, ბალანსი, ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნება, სხვადასხვა სახის დისკრიმინაციის წახალისება, ფოტო და სხვა სახის მანიპულაცია, ჟურნალისტურის ეთიკის ქარტიის სხვა ძირითადი პრინციპებისა და პროფესიული სტანდარტების დაცვა და ა.შ.

მონიტორინგის ძირითადი მიგნებები

- ონლაინ მედიის უმეტეს ნაწილში შეინიშნებოდა სარედაქციო დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი. შედეგად, ონლაინ მედიაში ნაკლებად იგრძნობოდა მკვეთრი პოლიტიკური პოლარიზაცია;
- ონლაინ გამოცემები მონიტორინგის სუბიექტებს შორის ყველაზე ხშირად და დიდი რაოდენობით მთავრობას (ადგილობრივი და ცენტრალური) და მმართველ პარტიას აშუქებდნენ, ხოლო ოპოზიციიდან - "ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა" და მიხეილ სააკაშვილს; ამ უკანასკნელის გაშუქების წილი ონლაინ მედიაში 1 ოქტომბრის შემდეგ გაიზარდა, მას შემდეგ, რაც საქართველოს მესამე პრეზიდენტი უკრაინიდან სამშობლოში დაბრუნდა;
- მონიტორინგის სუბიექტების გაშუქების ტონი ონლაინ მედიაში უმეტესად ნეიტრალური იყო; გამოიკვეთა მხოლოდ რამდენიმე ვებ-გვერდი, რომლებზეც აშკარად შეინიშნებოდა დადებითი განწყობა სახელისუფლებო გუნდის ან ოპოზიციის მიმართ;
- რეგიონული გამოცემების უმრავლესობა ვერ ახერხებდა ადგილობრივი მოსახლეობის სათანადოდ ინფორმირებას რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ. მათ მიერ ყოველდღიურად გამოქვეყნებული საკმაოდ მცირე რაოდენობის მასალების შეუსაბამოდ დიდი ნაწილი ეთმობოდა მმართველი პარტიისა და ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების გაშუქებას, რაც კიდევ უფრო ამცირებდა არჩევნებთან დაკავშირებული საკითხების მრავალმხრივ გაშუქებას;
- ონლაინ გამოცემების ნაწილი ცდილობდა და ახერხებდა, რომ ჯეროვნად დაეცვა ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტები;
- ვებგვერდების ნაწილი არასათანადოდ მიჯნავდა სარედაქციო მასალებისგან სარეკლამო მასალებს და მათ შესაბამისი მითითების გარეშე აქვეყნებდა;
- ონლაინ მედიის ყველაზე დიდ გამოწვევად მოვლენების ზედაპირული გაშუქება გამოიკვეთა; მონიტორინგისთვის შერჩეული ვებგვერდების მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებდა მიმდინარე პოლიტიკური პროცესების სიღრმისეულად და მრავალმხრივად გაშუქებას. უმეტესი ნაწილი კი მხოლოდ მიყვებოდა პოლიტიკოსთა დღის წესრიგს და ძირითადად, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთა და პოლიტიკოსთა განცხადებებსა და ყოველდღიურ საქმიანობას აშუქებდა; საარჩევნო კანდიდატების გაშუქება უმეტეს შემთხვევებში ხდებოდა პარტიული დაპირისპირებების კონტექსტში და ნაკლებად გვხვდებოდა მათი საარჩევნო პროგრამებისა თუ მუნიციპალიტეტების განვითარების ხედვების ანალიზი.
- მერობის კანდიდატთა გაშუქებისას, უმეტეს შემთხვევებში, დედაქალაქის თუ სხვა მუნიციპალიტეტების კანდიდატების გაშუქება ხდებოდა პარტიული დაპირისპირებების კონტექსტში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს გარემოება გარკვეულწილად ანარეკლია თავად

წინასაარჩევნო პოლიტიკური გარემოსი, ვინაიდან თავად კანდიდატები, განსაკუთრებით, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელი კანდიდატები, წინასაარჩევნო პერიოდში ნაკლებად ამახვილებდნენ ყურადღებას მუნიციპალიტეტების განვითარების გეგმებსა თუ ხედვებზე და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს უმეტესად განიხილავენ ხელისუფლების ცვლილების შესაძლებლობის კონტექსტში;

- 2020 წელს განხორციელებული მედიამონიტორინგის შედეგებთან შედარებით, მკვეთრად გაუმჯობესდა მედიასაშუალებების მიერ გენდერულად სენსიტიური გაშუქება.

მედიამონიტორინგისთვის შერჩეული ონლაინ მედიასაშუალებების ანალიზი:

ambebi.ge

ambebi.ge-ზე მიმდინარე პოლიტიკური პროცესები შუქდებოდა მიუკერძოებლად, თუმცა, ხშირ შემთხვევებში, ზედაპირულად.

ambebi.ge-ზე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა სარეკლამო სტატიების არასათანადო გამიჯვნა სარედაქციო მასალებისგან. ambebi.ge-ზე სარეკლამო მასალები ქვეყნდებოდა მითითებით R და NS, რაც არ წარმოადგენს სათანადო სარეკლამო მინიშნებას. ამას გარდა, მონიტორინგის პერიოდში შეგვხვდა არაერთი სტატია, რომლებიც ambebi.ge-ზე გამოქვეყნდა ყოველგვარი სარეკლამო მითითების გარეშე, თუმცა ზუსტად იგივე სტატია სხვა ვებგვერდზე გამოქვეყნდა სარეკლამო მითითებით (მაგალითად, სტატია: „დავით ნარმანია ტყიბულში წყალმომარაგების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის პროცესს გაეცნო, 20 აგვისტო).

ambebi.ge-ზე პრობლემური იყო, ასევე, მოვლენების ცალმხრივი გაშუქება. მონიტორინგის პერიოდში გამოქვეყნდა არაერთი მასალა, როდესაც საიტზე უცვლელად იყო გადმოტანილი საზოგადოებისთვის ცნობილი სახეების ფეისბუკ პოსტები, რომლებიც შეიცავდნენ სხვადასხვა სახის ბრალდებებს. ამ ტიპის მასალებში არ ჩანდა ჟურნალისტის მცდელობა, მიეწოდებინა საზოგადოებისთვის ზუსტი ინფორმაცია და არ გაევრცელებინა დაუდასტურებელი და დაუბალანსებელი ცნობები.

გამოცემა ხშირად აქვეყნებდა პოლიტიკოსების პირადი ცხოვრების შესახებ ე.წ. ყვითელ ამბებს. ამ ტიპის მასალებში ჟურნალისტის ტონი ხშირად იყო მიკერძოებული. მაგალითად, სტატიაში - “მთელი ცხოვრება ერთი ქალი მიყვარს...” - რას ჰყვება ოჯახსა და პოლიტიკურ გზაზე მე-5 თაობის ქუთაისელი და მშობლიური ქალაქის მერობის კანდიდატი?” - ჟურნალისტისგანაც კი იგრძნობოდა პოზიტიური ტონი ქუთაისის მერობის კანდიდატთან მიმართებაში: “საფიჩხიაზე

გაზრდილი ბიჭი დიპლომატობაზე ოცნებობდა, შემდეგ - ექიმობაზე, თუმცა ბედისწერას ვერსად გაექცა... სჯერა, რომ "ქართულ ოცნებას" ალტერნატივა არ აქვს და ერთ კვირაში ქუთათურებს მერის ამპლუაში მოევლინება".





batumelebi.ge

batumelebi.ge მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს აშუქებდა მიუკერძოებლად და ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების მაღალ დონეზე დაცვით.

batumelebi.ge-ზე მოვლენები შუქდებოდა თანმიმდევრულად და სიღრმისეულად. გამოცემამ საარჩევნო კანდიდატებთან ვრცელი ინტერვიუები შესთავაზა აუდიტორიას. ასევე, ადგილობრივი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან და პრობლემურ საკითხებზე ცდილობდა საარჩევნო სუბიექტების ხედვების გაცნობას მკითხველისთვის.





guriismoambe.com

guriismoambe.com-ზე ცხადად შეინიშნებოდა უკიდურესად უარყოფითი განწყობა მმართველი გუნდის მიმართ, ხოლო დადებითი განწყობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიმართ.

მონიტორინგის პერიოდში ხშირად გვხვდებოდა ფაქტების სიზუსტესთან დაკავშირებული პრობლემები. მაგალითად, სტატიაში - “ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტი გურიაში-ხმებს საარჩევნო უბანთან ყიდულობენ” (2 ოქტომბერი) - ჟურნალისტს არ წარმოუდგენია ამ ინფორმაციის დამადასტურებელი არც ერთი ფაქტი. კერძოდ, სტატიაში წერია: “გაჩერებულ ავტომობილში მსხდომი პირები ხმების სანაცვლოდ ფულს არიგებდნენ. თუმცა მედიასთან შიგნით მსხდომები ფაქტს არ ადასტურებენ. თქვენ ნორმალურები ხართ? ! მანქანა მყავს გაფუჭებული და გაჩერებული ვარ!, – ამბობს მოქალაქე”. მასალას არ ახლავს ავტომანქანიდან ფულის დარიგების ამსხველი არც ფოტო და არც ვიდეომასალა; მასალაში არ არის წარმოდგენილი არც ერთი წყარო, ვინც დაადასტურებდა მოსყიდვის ფაქტს. ფაქტების სიზუსტესთან დაკავშირებული პრობლემაა კიდევ ერთ სტატიაში - “ღიად ხმის მიცემა; არაუფლებამოსილი პირების თარეში – ოზურგეთში ერთ უბანზე სამი საჩივარი დაიწერა” (2 ოქტომბერი). სტატიაში ეს ფაქტები დადასტურებული არ არის, ამის მიუხედავად სათაურში გამოცემა მტკიცებით ფორმაში ავრცელებს ინფორმაციას. სტატია ეფუძნება მხოლოდ ერთ წყაროს - ოპოზიციას. არ ჩანს ჟურნალისტის მცდელობა, რომ გადაამოწმოს ეს ბრალდებები საარჩევნო კომისიაში ან მმართველ პარტიაში და ამის შემდეგ გაავრცელოს დადასტურებულად ცნობები კონკრეტული საარჩევნო დარღვევების თაობაზე.

ვებგვერდზე ცხადად შეინიშნებოდა უკიდურესად უარყოფითი განწყობა ოზურგეთში „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატის მიმართ, რომლის შესახებ თავად ჟურნალისტთა ტექსტებში გვხვდებოდა შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგია (მაგალითად, სტატიაში „ცოტა რამ „ხელებაკაპიწებული“ არჩილ თალაკვაძის დაპირებებიდან _ „ძმა ძმისთვის და შავი დღისთვის!“, 15 აგვისტო).

მონიტორინგის პერიოდში გამოვლინდა გენდერული ნიშნით შეურაცხმყოფელი მასალის გამოქვეყნების შემთხვევაც. მაგალითად, სტატია „მერობის კანდიდატს ცოლი ფეისბუქში პასუხობს: „ტურფა სადმე დააბი“ (19 აგვისტო) შეიცავდა სექსისტურ განცხადებებს და არ ჩანდა ამ განცხადებებისგან რედაქციის გამიჯვნის მცდელობა.

guriismoambe.com არ ერიდებოდა საარჩევნო სუბიექტების მიმართ უხამსი ლექსიკის შემცველი ციტატების სათაურებად გამოტანას.


სუბიექტების გაშუქება (%)
guriismoambe.com
5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021
26
23
18
13
4
4
2
10
ქართული ოცნება
მიხეილ სააკაშვილი
მთავრობა
ნაციონალური მოძრაობა
ბიძინა ივანიშვილი
საქართველოსთვის
ადგილობრივი მთავრობა
სხვა


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
guriismoambe.com
5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
ქართული ოცნება 4 37 59
მიხეილ სააკაშვილი 16 76 8
მთავრობა 8 52 40
ნაციონალური მოძრაობა 10 76 14
ბიძინა ივანიშვილი 83
საქართველოსთვის 66
ადგილობრივი მთავრობა 64

interpressnews.ge

რაოდენობრივი მონაცემების ანალიზმა interpressnews.ge-ზე დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებლები გამოავლინა ადგილობრივი, ცენტრალური და აჭარის მთავრობის გაშუქებისას.

მონიტორინგის პერიოდში interpressnews.ge-ზე სარედაქციო და სარეკლამო მასალები არასათანადოდ იყო ერთმანეთისგან გამიჯნული. დაფინანსებული სტატიები ქვეყნდებოდა მითითებით NS ან R, ანუ მკითხველისთვის ნათლად და გასაგებად არ იყო მითითებული, რომ სტატიები დაფინანსებული ან სარეკლამოა.

არასათანადოდ მითითებული სარეკლამო სტატიების გარდა interpressnews.ge-ზე ასევე გვხვდებოდა სარეკლამო სტატიებისა და სხვადასხვა სახელმწიფო უწყების პრეს-რელიზების ყოველგვარი მითითების გარეშე გამოქვეყნების შემთხვევებიც. მაგალითად, 25 ოქტომბერს interpressnews.ge-მ ყოველგვარი მითითების გარეშე გამოაქვეყნა სტატია „მარიამ ქვრივიშვილი ტურიზმის მსოფლიო სამიტში მონაწილეობას მიიღებს“, რომელიც იდენტური ტექსტით, იმავე დღეს გამოქვეყნდა, მაგალითად, ვებგვერდზე expressnews.ge სარეკლამო მითითებით.

ვებგვერდი აქტიურად, თუმცა უმეტესად ზედაპირულად აშუქებდა მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. სტატიების უმრავლესობა შეეხებოდა პოლიტიკოსთა განცხადებებსა და ყოველდღიურ აქტივობებს. ხშირად გხვდებოდა გონივრული ბალანსის დაცვის პრობლემაც - სხვადასხვა დაპირისპირებული მხარის კომენტარები შუქდებოდა ცალ-ცალკე სტატიებად, რომლებიც ტექნიკურად არ ებმოდა ერთმანეთს და შესაბამისად, მკითხველს ხშირად არ ეძლეოდა შესაძლებლობა, რომ განსხვავებულ მოსაზრებებსა და დაბალანსებულ ცნობებს გაცნობოდა ცალკეულ სტატიებში.

სუბიექტების გაშუქება (%)
interpressnews.ge
5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021





knews.ge

knews.ge-ზე პოლიტიკური სპექტრის პლურალისტური გაშუქების ნაკლებობა შეინიშნებოდა. სუბიექტების გაშუქების პროცენტული მაჩვენებლებით, knews.ge-ზე 73% დაეთმო მთავრობას (ცენტრალური და ადგილობრივი) და მმართველ პარტიას, რაც, თავის მხრივ, ხელს არ უწყობდა ადგილობრივი აუდიტორიის სათანადოდ ინფორმირებას სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა თუ კანდიდატის საქმიანობისა და ხედვების შესახებ.

knews.ge-ზე, ერთი მხრივ, გამოვლინდა დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებლები ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობის გაშუქებისას, მეორე მხრივ, კი, უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებელი მმართველი პარტიის გაშუქებისას. მთავრობისა და ადგილობრივი მთავრობის მაღალი დადებითი ტონები განაპირობა იმ გარემოებამ, რომ knews.ge აქტიურად აშუქებდა კახეთის რეგიონში მიმდინარე და დასრულებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს. „ქართული ოცნების“ უარყოფითი ტონი კი განაპირობა ვებგვერდის მიერ უცხოელი პარტნიორების განცხადებების გამოქვეყნებამ მმართველი პარტიის მიერ სასამართლო რეფორმის ჩაგდების შესახებ.

მიმდინარე პოლიტიკური პროცესები ვებგვერდზე უმეტესად შუქდებოდა ფრაგმენტულად და ზედაპირულად.

ვებგვერდზე ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების დარღვევის ფაქტები არ გამოვლენილა.


სუბიექტების გაშუქება (%)
knews.ge
5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021
45
20
9
8
6
2
10
მთავრობა
ქართული ოცნება
ნაციონალური მოძრაობა
ადგილობრივი მთავრობა
საქართველოსთვის
ლელო
სხვა


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
knews.ge
5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
მთავრობა 28 67 5
ქართული ოცნება 9 63 28
ნაციონალური მოძრაობა 89 10
ადგილობრივი მთავრობა 26 63 11
საქართველოსთვის 91
ლელო 92
მესამე ძალა

kutaisipost.ge

kutaisipost.ge-ზე ყოველდღიურად საკმაოდ მცირე რაოდენობის სტატიები ქვეყნდებოდა პოლიტიკასთან და არჩევნებთან დაკავშირებით. მიმდინარე პოლიტიკური პროცესები უმეტესად შუქდებოდა ფრაგმენტულად და ზედაპირულად.

ვებგვერდზე არ შეინიშნებოდა უკიდურესად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. შედარებით მაღალი უარყოფი ტონი დაფიქსირდა ადგილობრივი მთავრობისა და მმართველი პარტიის მიმართ.

მონიტორინგის პერიოდში kutaisipost.ge-ზე შეინიშნებოდა პოლიტიკური სპექტრის პლურალისტური გაშუქების ნაკლებობა - საარჩევნო პერიოდში მონიტორინგის სუბიექტთა გაშუქების თითქმის 70 პროცენტი დაეთმო მმართველი გუნდის გაშუქებას, რაც, თავის მხრივ, ხელს არ უწყობდა ადგილობრივი საზოგადოების სათანადოდ ინფორმირებას სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა თუ კანდიდატის საქმიანობისა და ხედვების შესახებ.

ვებგვერდზე ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების დარღვევის ფაქტები არ გამოვლენილა.





livepress.ge

livepress.ge უმეტესად სამეგრელოს რეგიონში მიმდინარე მოვლენებს აშუქებდა. შეინიშნებოდა მიმდინარე პოლიტიკური პროცესების სიღრმისეული გაშუქების პრობლემა. მოვლენები შუქდებოდა მიუკერძოებლად და ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების დაცვით.

livepress.ge-ზე უარყოფითი ტონის დაფიქსირება როგორც მმართველი პარტიისა და ადგილობრივი მთავრობის, ასევე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და ექსპრეზიდენტ მიხელ სააკაშვილის გაშუქებისას განაპირობა თავად პოლიტიკოსთა ურთიერთკრიტიკული განცხადებების გამოქვეყნებამ. livepress.ge-ს სტატიებში არ გვხვდებოდა დადებითი ან უარყოფითი შეფასებები ჟურნალისტთა მხრიდან.





mpn.ge

mpn.ge-ზე სისტემატურად გვხვდებოდა ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების უმძიმესი დარღვევის შემთხვევები, როგორიცაა ფაქტის სიზუსტე, ბალანსი, რაიმე ნიშნით დისკრიმინაცია და ა.შ.

ვებგვერდზე ცხადად შეინიშნებოდა, ერთი მხრივ, უაღრესად დადებითი განწყობა მმართველი გუნდის მიმართ, მეორე მხრივ კი, ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა მიზანმიმართული დისკრედიტაციის მცდელობა.

ხშირად გამოიყენებოდა სიძულვილის ენა და უკიდურესად შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგია ხელისუფლების ოპონენტების მიმართ არა მხოლოდ მასალების ტექსტებში, არამედ სათაურებში, როგორიცაა მაგალითად: "მიხეილ სააკაშვილი თავს ი@ლევებს და საკუთარ ამომრჩეველსაც ა@ლევებს – უჰიჰარმა მიჰამ ზადნი მისცა" (10 აგვისტო); "სახალხო დამცველს პრო@ი აეწვა – ის რაც კარგია სხვა პატიმრებისთვის მიშას არ ეკადრება" (24 ოქტომბერი); "ნაციონალური მოძრაობის" მერობის კანდიდატმა პირდაპირ ეთერში ნიკა გვარამია და ნიკა მელია გამოა@ლევა (22 აგვისტო); „ხატია დეკანოიძე, შენი გამჩენი უხსენებლის ნახმარია, ასეთი ასპიტი როგორ „გშვრა" შე დედამისექსილო მკვლელო! - ასეთი შხამიანი ქუჩაში როგორ უნდა დასრიალებდე საერთოდ?!" (26 ივლისი).

mpn.ge უმეტესად აქვეყნებდა ფეისბუკზე სხვადასხვა მომხმარებლების მიერ გაზიარებულ პოსტებს. ასეთ მასალებში სისტემატურად გვხვდებოდა ჰომოფობიური, ქსენოფობიური და სიძულვილის ენის შემცველი განცხადებები.

პოლიტიკოსების გარდა, mpn.ge-ზე უკიდურესად შეურაცხმყოფელი და უხამსი ტერმინოლოგიით მოიხსენიებდნენ ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი მედიაორგანიზაციების ხელმძღვანელებსა და ჟურნალისტებს.





netgazeti.ge

netgazeti.ge მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს აშუქებდა თანმიმდევრულად და სიღრმისეულად.

სუბიექტების გაშუქების ტონი უმეტესად იყო ნეიტრალური.

გამოცემა პოლიტიკურ საკითხებს აშუქებდა მიუკერძოებლად და მრავალმხრივად.

netgazeti.ge მაღალ დონეზე იცავდა ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტებს.

გამოცემა ანგარიშვალდებულების მაღალ სტანდარტს აჩვენებდა: ერთი მხრივ, სტატიებში, რომლებიც შეიცავდა ბრალდებებს ან მოითხოვდა დაზუსტებას, უმრავლეს შემთხვევაში, ნათლად უთითებდა, რომ გამოცემა ცდილობდა კონკრეტულ წყაროებთან დაკავშირებას და მოგვიანებით იმავე მასალას ურთავდა დამატებით მოპოვებულ ინფორმაციას; მეორე მხრივ, მაღალ დონეზე იცავდა მასალის შესწორების საერთაშორისოდ დადგენილ სტანდარტს, როდესაც აუდიტორიას რედაქცია ნათლად განუმარტავს - რა და როგორ შესწორდა კონკრეტულ სტატიაში.





news.on.ge

news.on.ge აქტიურად, მრავალმხრივად და მიუკერძოებლად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს.

ვებგვერდზე სუბიექტების გაშუქების ტონი უმეტესად იყო ნეიტრალური.

ზოგჯერ ჟურნალისტურ ტექსტებში შეინიშნებოდა მმართველი გუნდის წარმომადგენლების მიმართ ცინიკური დამოკიდებულება. მაგალითად, სტატიებში: "კიდევ 10 რამ, რაც "ქართული ოცნების" პოლიტიკოსებმა უნდა ასწავლონ" (23 სექტემბერი); „კალაძე ამტკიცებს, რომ სექსუალური ორიენტაციის გამო ქვეყანაში არავის დევნიან და ჰგონია, რომ ჰომოფობი არ არის" (7 ივლისი) და ა.შ.

news.on.ge-ზე გამოქვეყნებულ სტატიებში მაღალ დონეზე იყო დაცული ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტები.

რედაქცია ადეკვატურად და სტანდარტების შესაბამისად რეაგირებდა სუბიექტების მიერ სიძულვილის ენის, ჰომოფობიის, გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის შემცველი განცხადებების გაშუქების დროს.


სუბიექტების გაშუქება (%)
news.on.ge
5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021
26
23
21
10
4
2
2
2
10
მთავრობა
მიხეილ სააკაშვილი
ქართული ოცნება
ნაციონალური მოძრაობა
საქართველოსთვის
პრეზიდენტი
დროა
ლელო
სხვა


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
news.on.ge
5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
მთავრობა 5 68 27
მიხეილ სააკაშვილი 4 82 14
ქართული ოცნება 4 59 37
ნაციონალური მოძრაობა 3 69 28
საქართველოსთვის 74 23
პრეზიდენტი 80
დროა 96

publika.ge

publika.ge-ზე არ შეინიშნებოდა დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. გამოცემა გამოირჩეოდა სუბიექტების მრავალმხრივი და მრავალფეროვანი გაშუქებით.

მიმდინარე მოვლენები ვებგვერდზე შუქდებოდა მიუკერძოებლად და ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების მაღალ დონეზე დაცვით.

გამოცემა მაღალ დონეზე იცავდა მასალის შესწორების საერთაშორისოდ დადგენილ სტანდარტს, როდესაც აუდიტორიას ნათლად განუმარტავდა - რა და როგორ შესწორდა კონკრეტულ სტატიაში.





qartli.ge

qartli.ge-ზე ყოველდღიურად საკმაოდ მცირე რაოდენობის სტატიები ქვეყნდებოდა პოლიტიკასთან და არჩევნებთან დაკავშირებით. მიმდინარე პოლიტიკური პროცესები შუქდებოდა ფრაგმენტულად და ზედაპირულად.

მონიტორინგის პერიოდში qartli.ge-ს მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა პოლიტიკური სპექტრის პლურალისტური გაშუქების ნაკლებობა - საარჩევნო პერიოდში მონიტორინგის სუბიექტთა გაშუქების 75 პროცენტი დაეთმო მხოლოდ მმართველი გუნდის გაშუქებას.

სხვა გამოცემებისგან განსხვავებით, რომლებიც ოპოზიურ პარტიებს შორის ყველაზე ხშირად ენმ-ს და მიხეილ სააკაშვილს აშუქებდნენ, qartli.ge-ს შემთხვევაში ოპოზიციის რიგებიდან გაშუქების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი გიორგი გახარიას პარტიას "საქართველოსთვის" ხვდა წილად.

ვებგვერდზე სათანადოდ არ იყო გამიჯნული სარეკლამო და სარედაქციო მასალები. მაგალითად, "ქართული ოცნების" მერობის კანდიდატის შესახებ სარეკლამო სტატიები აღნიშნული იყო მხოლოდ R ნიშნით. პოლიტიკური პარტიის მიერ დაკვეთილი სარეკლამო მასალის არასათანადო აღნიშვნა წინასაარჩევნო პერიოდში განსაკუთრებით პრობლემურია და იწვევს საარჩევნო პროცესის დაუბალანსებელ და მიკერძოებულ გაშუქებას.

ვებგვერდზე უმეტესად დაცული იყო ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტები.





radiotavisupleba.ge

radiotavisupleba.ge მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს აშუქებდა მიუკერძოებლად და ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების მაღალ დონეზე დაცვით.

ვებგვერდი გამოირჩეოდა მოვლენების კრიტიკული, მრავალფეროვანი და სიღრმისეული გაშუქებით.

გამოცემა მაღალ დონეზე იცავდა მასალის შესწორების საერთაშორისოდ დადგენილ სტანდარტს.





reginfo.ge

reginfo.ge-ზე არ შეინიშნებოდა დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ.

მიმდინარე პოლიტიკური პროცესები შუქდებოდა მრავალფეროვნად, მიუკერძოებლად და ჟურნალისტური სტანდარტების მაღალ დონეზე დაცვით.





sknews.ge

sknews.ge-ზე პოლიტიკასთან დაკავშირებული ამბების უმეტესად სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ჭრილში შუქდებოდა. გამოცემა ავრცელებდა მნიშვნელოვან ცნობებს, რომლებიც ამომრჩეველთა უკეთ ინფორმირებას ემსახურებოდა როგორც საარჩევნო პროცესზე, ისე - კანდიდატებზე. არ შეინიშნებოდა დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. მიმდინარე პოლიტიკური პროცესები შუქდებოდა მიუკერძოებლად და ჟურნალისტური სტანდარტების მაღალ დონეზე დაცვით.





sputnik-georgia.com

sputnik-georgia.com-ზე ცხადად შეინიშნებოდა მმართველი გუნდის მხარდაჭერა. მიმდინარე პოლიტიკური პროცესები შუქდებოდა ცალმხრივად და ზედაპირულად.

ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა გაშუქებისას ვებგვერდი ხშირად ცდილობდა მკითხველისთვის წარმოდგენა შეექმნა ოპოზიციურ პარტიათა შიდა უთანხმოებისა და დაპირისპირებების შესახებ; მაგალითად, სტატიებში: „ბოკუჩავა VS უგულავა: ოპოზიციაში მერობის კანდიდატებთან დაკავშირებით უთანხმოებაა“ (19 აგვისტო); „სკანდალი ოპოზიციაში: „ნაცმოძრაობის“ ნაწილი არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს“ (7 აგვისტო).

sputnik-georgia.com-ზე განსაკუთრებულად ცხადად შეინიშნებოდა „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატის, კახა კალაძის, მხარდაჭერა.

sputnik-georgia.com-ზე ხშირად ფიქსირდებოდა მანიპულაციური და შეუსაბამო სათაურები. მაგალითად, სტატიაში - “სააკაშვილის მეგობარი ქალი გოგოს კოცნის? – სოციალურ ქსელში ვრცელდება ფოტო” გამოქვეყნებულია ფოტო, სადაც არ არის ასახული ლიზა იასკო და სტატიაშიც არის ეს აღნიშნული.


სუბიექტების გაშუქება (%)
sputnik-georgia.com
5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021
32
20
15
11
4
3
2
2
11
მთავრობა
მიხეილ სააკაშვილი
ქართული ოცნება
ნაციონალური მოძრაობა
ადგილობრივი მთავრობა
საქართველოსთვის
პრეზიდენტი
ლელო
სხვა


სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
sputnik-georgia.com
5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
მთავრობა 25 70 5
მიხეილ სააკაშვილი 3 67 30
ქართული ოცნება 13 70 17
ნაციონალური მოძრაობა 6 79 15
ადგილობრივი მთავრობა 47 52
საქართველოსთვის 81
პრეზიდენტი 92

tabula.ge

tabula.ge-ზე შეინიშნებოდა უარყოფითი განწყობა მმართველი გუნდის მიმართ. უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა „ქართული ოცნების“ გაშუქებისას. ხოლო ოპოზიციურ პარტიებს შორის დადებითი ტონის პროცენტული მაჩვენებლები მცირედით ჭარბობდა „დროას“ გაშუქებისას.

გამოცემა იცავდა ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტებს, როგორიცაა ფაქტების სიზუსტე, წყაროების მრავალფეროვნება და ა.შ. - თუმცა ტენდენციური ხასიათი ჰქონდა ფოტომანიპულაციის შემთხვევებს, როდესაც სტატიებზე დართულ ფოტოებზე ხელისუფლების წარმომადგენლები განგებ იყვნენ წარმოდგენილნი დამაკნინებელი ან დამცინავი რაკურსით.




სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)
tabula.ge
5 ივლისი - 14 ნოემბერი, 2021
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი
მთავრობა 8 63 29
ქართული ოცნება 5 48 47
მიხეილ სააკაშვილი 3 82 15
ნაციონალური მოძრაობა 6 76 18
ევროპული საქართველო 4 94 2
დროა 7 92
საქართველოსთვის 76 19